პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 9 (6074)
12 იანვარი 1978 წ. ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქტასის ცნობა

•

## მიფრინავს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-27"

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1978 წლის 10 იანვარს მოსკოვის დროით 15 საათსა და 26 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-27", რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი** და ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი **ოლეგ გრიგორის ძე მაკაროვი.**

„სოიუზ-27" ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეპირაპირება „სალიუტ-6" პილოტირებულ ორბიტულ სადგურთან და ორი კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟებით სადგურში ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობა.

„სოიუზ-27" ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს.

კოსმონავტებმა ამხანაგებმა ვ. ა. ჯანიბეკოვმა და ო. გ. მაკაროვმა დაიწყეს ფრენის პროგრამის შესრულება.

## აზმაიფარაშვილის უპირატესობით

**კაპსუკასი** (ლიტვა), 11 იანვარი (**დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.**). სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატებში გუშინ მოეწყო IV ტურის შეხვედრები.

ქ. მელაშვილმა შევჩენკოს (ესტონეთი) გვირგვინოსანზე პირდაპირი იერიშით გაიმარჯვა 30-ე სვლაზე. ყაიმით დამთავრდა თ. მესხი — ნ. მელაშვილის პარტია.

ჭაბუკთა ტურნირზე ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ზ. აზმაიფარაშვილისა და უკრაინის ჩემპიონის — ანდრიანოვის შეხვედრა. მწვავე ბრძოლა იმ დღეს დაუმთავრებელი დარჩა. პარტია გადაიდო აზმაიფარაშვილის უპირატესობით, მას მოგების შანსი აქვს.

ი. ეფიმოვმა (თბილისი) ოსტატ ლანკასთან (ლატვია) დებიუტში არაზუსტად ითამაშა და განსაცდელში აღმოჩნდა. თავგამოდებული დაცვის მიუხედავად მე-40 სვლაზე ეფიმოვი წაგებას შეურიგდა.

**ა. არნშტეინი.**

## ჭადრაკი

### თამაშობენ პრეტენდენტები

სამშაბათს ბელგრადში მოეწყო ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის XVII პარტიის დამთავრება. ეს პარტია წინადღით გადაიდო კორჩნოის მცირე უპირატესობით. თამაშის განახლებისას კორჩნოიმ შეძლო პაიკისა და მერე 57-ე სვლაზე პარტიის მოგება.

მატჩის ანგარიშია 9,5:7,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

გუშინ მეტოქენი XVIII პარტიას ითამაშებდნენ. პრეტენდენტის უფლების მოსაპოვებლად კორჩნოის ერთი ქულა სჭირდება, სპასკის — 3.

## ხუთი პრიზიორი

## ძიდაობა

„შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ტალინში ჩატარდა. სარბიელზე გამოდიოდნენ 1963-64 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

საქართველოს გუნდი ამ ასპარეზობაზე 7 სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული. მათგან სამმა — მ. ჯეირანაშვილმა, მ. ახობაძემ და გ. ბარბაქაძემ პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო ქ. მაზმიშვილი და თ. სარქისიანი მეორე ადგილებზე გავიდნენ.

## ფინალში — ორი ქულით

**ბათუმში** ჩატარდა საკავშირო ზონალური პირველობა ხელბურთში, რომელშიც მოსკოვის, ესტონეთის, ლატვიის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და საქართველოს ჭაბუკთა (1962-63 წლებში დაბადებულები) გუნდები მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში სპორტსმენები შეხვედრის პირველ ნახევარს პერსონალური დაცვით თამაშობენ. ეს აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი ჯერ გაფრთხილებით ისჯება, შემდეგ კი 2-წუთიანი გაძევებით.

შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა საქართველოს გუნდი, რომელიც თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ჯ. ცერცვაძე, მწვრთნელი რ. ჭანტურია) აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. მართალია, ისინი პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ უზბეკ ხელბურთელებთან (19:20), მაგრამ შემდეგ ძალები მოიკრიბეს და ზედიზედ მოუგეს ესტონეთის (30:21), ლატვიის (29:28), ყირგიზეთისა (37:30) და მოსკოვის (23:16) გუნდებს.

განსაკუთრებით სასიხარულოა მოსკოვის ძლიერ კოლექტივთან მიღწეული გამარჯვება. თავი გამოიჩინეს გ. კარტოზიამ, ლ. ჩიკვაიძემ, მ. ჩხარტიშვილმა და რ. კახიანმა.

ამ წარმატებით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ორი მომგებიანი ქულით საკავშირო პირველობის ფინალში შევიდა. ფინალში მონაწილეობის უფლება მოსკოველებმაც მოიპოვეს.

ფინალური შეჯიბრებები მარტის არდადეგებზე და ივნისში ორ ტურად გაიმართება.



**რუსთაველ** ჩოგბურთელთა საქალაქო თასის გათამაშებაში ვაჟთა შორის კარგად იასპარეზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუხთავის სალამოს სწავლების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ზურაბ აბაიაძემ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

სურათზე: ზ. აბაიაძე შეჯიბრების დროს.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

## თხილამურები

**სლავსკოეს** მიდამოებში, ტროსტიანის ფერდობებზე გრძელდება სამთო-სათხილამურო სპორტში სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ასპარეზობის მეორე დღეს გაიმართა გიგანტური სლალომი. ვაჟებისთვის პირველ ცდაზე ტრასის სიგრძე 1050 მეტრი იყო, ხოლო მეორე ცდაზე — 1100.

ორი ცდის ჯამში უძლიერესი აღმოჩნდა მონჩეგორსკელი ვ. ციგანოვი — 2.13,7. მან ამ წარმატებას იმით მიაღწია, რომ პირველ ცდაშივე ხელთ იგდო ლიდერობა. თუმცა მეორე დაშვებაში მას ა. არდეევმა (კემეროვო) აჯობა. არდეევი საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა — 2.14,84. მას ა. ქიროვმაც (მოსკოვის ოლქი) სძლია — 2.14,75.

ქალთა შორის 1030-მეტრიან ტრასაზე ყველაზე სწრაფი გახლდათ ა. კულიკოვა-ასკაროვა (კემეროვო) — 1.12,58. კიევის დინამოელი ს. ლებედევა მეორე ადგილზეა — 1.13,45. მინსკელი სტუდენტი ნ. ზელოვა მას 0,23 წამით ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაში ორი სახეობის (სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი) შემდეგ დაწინაურდა შეიარაღებული ძალების ნაკრები, რომელსაც 281 ქულა აქვს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან „ბურევესტნიკი" (234) და „სპარტაკი" (205).

ფიზკულტურა და სპორტი რაიონული პრესის ფურცლებზე

•

## სამართლიანი კრიტიკით

**საქართველოს** პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ისევე უნდა მიაქციონ ყურადღება ადგილებზე ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას, როგორც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში გეგმების შესრულებისას. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში თვალსაჩინო გახდა მოსახლეობის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჩაბმისთვის, სპორტული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის, ბაზების ქსელის გაფართოებისთვის გაშლილი მუშაობა. სასიხარულოა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად თავის სიტყვას ამბობენ რაიონული გაზეთები, რომლებიც ბოლო ხანებში გაცილებით მეტ ადგილს უთმობენ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს. ამ მხრივ კარგ მაგალითს გვიჩვენებს საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს გაზეთი **„კომუნიზმის გზა"**. იშვიათად შეხვდებით ნომერს, სადაც მეტ-ნაკლებად გაშუქებული არ იყოს რაიონის ფიზკულტურული ცხოვრება, ამ დარგში არსებული მიღწევები და ნაკლოვანებები. გაზეთი ხშირად ამახვილებს ყურადღებას ჩამორჩენის მიზეზებზე და, რაც მთავარია, კრიტიკით არ კმაყოფილდება, ცდილობს ბოლომდე ჩაწვდეს ხარვეზთა მიზეზებს.

ჩვენს წინაა „კომუნიზმის გზის" 10 დეკემბრის ნომერი, რომლის მესამე გვერდი თემატურად გაერთიანებულია ანშლაგით „ფიზკულტურასა და სპორტს — ყოველდღიური ზრუნვა". მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ აქ სახოტბო სტრიქონებია დასტამბული.

კარგი კოლექტივები, სპორტსმენები, რომლებზეც ნარკვევის დაწერა, ან ჩანახატის გაკეთება შეიძლება, რა თქმა უნდა, რაიონში არა ერთი და ორია, მაგრამ ამ ნომერში დაბეჭდილი მასალებიდან ნათელი ხდება: შესაქები უფრო მეტი იქნებოდა, ფიზკულტურის კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცების, ბაზების მოწყობის საქმეში ჯერ კიდევ არსებული უამრავი ნაკლოვანებები რომ არა.

რუბრიკით „რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ" გვერდში გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ იმაზე, რომ დუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი **ქ. ხომასურიძე**), რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს, მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის გაშლაში, ბაზების ქსელის გაფართოებაში სერიოზული ხარვეზებია. სოფელ არღუნში ფეხბურთის მინდვრისთვის, კარიაულთკარში სპორტული კომპლექსისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფით დაკმაყოფილდნენ, მათ მოწყობაზე კი არავინ ფიქრობს.

გაზეთიდან ვგებულობთ, რომ მეურნეობის მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებით არც მეურნეობის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები (მდივნები **ლ. ვარსიმაშვილი** და **რ. ჯანგირაშვილი**) ყოფილან დაინტერესებულნი. უკვე მესამე წელია, ერთხელაც არ უმსჯელიათ ამ უბანზე მუშაობის ჩაშლის მიზეზებზე. როგორც გაზეთი იტყობინება, ანანურის საბჭოთა მეურნეობაშიც დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა.

სპორტული ბაზების სიმრავლით ვერც რაიონული ცენტრი დაიქადნის. გაზეთი „კომუნიზმის გზა" გვაცნობს საცურაო აუზისა და კალათბურთის მოედნის სავალალო მდგომარეობას. დუშეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის **ა. იორდანიშვილის** წერილი გვატყობინებს, რომ საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომისა და რაიაღმასკომის ერთობლივი დადგენილების შესასრულებლად ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

დადგენილება კი დუშეთის საქალაქო საბჭოს ავალებს სტადიონის რეკონსტრუქციას, ფასანაურის სადაბო საბჭოს — კალათბურთისა და ფრენბურთის კაპიტალური ბაზების მშენებლობას, მჭადიჯვრის, არაგვისპირის, დუშეთის საბჭოთა მეურნეობებს, ბაზალეთისა და მაღაროსკარის კოლმეურნეობებს, ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობას — მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსების აგებას, გუდამაყრის, ლაფანაანთკარის, ჟინვალის საშუალო სკოლებს კი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების, მძლეოსნური სექტორების მოწყობას.

გაზეთი „კომუნიზმის გზა" სამართლიანად, პრინციპულად აკრიტიკებს მათ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაიონის ახალგაზრდობას, ყველა მშრომელს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის ნორმალური პირობები გააჩნდეს.

**მადრიდი.** 1978 წლის სეზონის პირველი სტარტი საბჭოთა წყალში მხტომელებმა სამშობლოდან მოშორებით — ცხელ, წვიმიან ლას-პალმასში (კანარის კუნძულები), ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში აიღეს. აქ თავი მოიყარეს 9 ქვეყნის ცნობილმა სპორტსმენებმა. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა პროგრამის ოთხი სახეობიდან სამი მოიგეს.

10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში (ვაჟები) ერთმანეთს შეხვდნენ

## წყალში ხტომა

## სეზონი გამარჯვებით დაიწყეს

ძველი მეტოქეები — ოლიმპიადა-76-ის ბრინჯაოს პრიზიორი ვ. ოლეინიკი და კ. ვოსლერი (აშშ. მონრეალში IV ადგილი დაიკავა). კვლავ ოლეინიკმა იმარჯვა. მინსკელმა სპორტსმენმა 533,10 ქულა დააგროვა, ხოლო ვოსლერმა — 493,75. ამერიკელმა სპორტსმენმა რევანში აიღო 3-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობისას — 517,20.

ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა მოსკოველმა ტ. პოდმარიოვამ, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელს ს. მაკინგვეილს (აშშ). ტატიანამ 432,80 ქულა მოაგროვა, სინტიამ კი — 384,00.

თავისი უპირატესობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა კოშკიდან ხტომაში მოსკოველმა ელენე ვაიცეხოვსკაიამ — 348,25 ქულა.

* * *



სურათზე: ელენე ვაიცეხოვსკაია ასპარეზობის შემდეგ.

საქტასის ფოტო.



# მაია ჩიბურდანიძე — დეკემბრის საუკეთესო სპორტსმენი

**ასე გადაწყვიტეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველთა ტრადიციული კონკურსის „თვის ჩემპიონის" მონაწილეებმა**

**ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ,** ჩემპიონის მანტიით ცხოვრების იმ მცირე დროშიც, 27 დეკემბრიდან რომ იწყებს სათვალავს, მაიამ მაინც მოახერხა ქუთაისისკენ გახედვა: ღამე იქით მგზავრობას მოუნდა, ღამე — აქეთ. მთელი დღეც შინ, თავისიანებთან. დრო არ ეკუთვნისო ჩემპიონს, უთქვამს მწვრთნელს ედუარდ გუფელდს, მაგრამ ერთგულად, ჯიუტადაც კი ცდილობდა ჩეხოვის ქუჩა ქუთაისში, სახლი, მამა და და. რიონმაც თითქოს მკლავები გაუშალა — როგორც იქნა, ისევ მობრუნდა მშობლიურ მიწაზე. ძველებურად იყო ყველაფერი და იქნებ ამიტომაც დაწყნარდა, თავის კალაპოტში ჩადგა მთელი ეს მძიმე წელიწადი, უფრო კარგად გამოჩნდა ეს ამოღებნა სავალი და მასზე დამჩნეული კვალიც. არა, მწვრთნელი არ გაუჯავრებია მაიას ამ პატარა „ავანტიურას".

...თბილისი, სასტუმრო აჭარის ერთი პატარა ნომერი. მაგიდაზე — ჭადრაკის დაფა. ხმადაბალი საუბარი, ჩემპიონის დედა — ქალბატონი ნელი ერთგვარი მორიდებით ეხება ფიგურებს, ისინიც საუბრის რიტმს აჰყოლიან — მორიდებითა და უხმაუროდ დასრიალებენ დაფაზე. უკვე მიიწურა წელი, მაია მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეა. მოპოვებულია ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც. არადა, საუბრის ტონი, მწვრთნელსა და ჩემპიონის დედას შორის რომ გაბმულა, უთუოდ დაგაეჭვებს, რომ ყველაფერი ეს უკვე მოხდა — თითქოსდა შესაძლებელია ფაქტადქცეულ გამარჯვებათა არარსებობა...

მწვრთნელმა უბრალოდ ახსნა ყველაფერი — წლის ნებისმიერ მონაკვეთს ობიექტურად, ჩემპიონის საზომით მიდგომა ესაჭიროება.

— გამარჯვების საზღვრით რომ არ დაიფაროს რაიმე, — ამბობს მაია, — მაშინ არავინ იცოდა, იქნებოდა ეს გამარჯვება თუ არა, ახლა, რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ყოველთვის მჯეროდა. და კიდევ ერთ ადამიანს, ჩემს მწვრთნელსაც რომ სჯეროდა. ეს არის და ეს. თუმცა, ან რა საწყენია. მეოთხედფინალის წინ ვინ იფიქრებდა, რომ ნანა ალექსანდრიასთან, პლანეტის მეორე მოჭადრაკესთან წარმატების რაიმე შანსი მქონდა? ჩვენს მატჩამდე ერთი თვით ადრე ნანამ, რომ იტყვიან, გაანადგურა ყველა თავისი მეტოქე. მაგრამ სიმართლე გითხრათ, შიშს არ შევუპყრივარ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დაფას მივუჯექი. აი, მატჩის მოგების შემდეგ კი...

— ?!

— სასიამოვნოა ფავორიტად გახდომა. ეს არის, ამ ტვირთის ტარება ძნელი. ახმილოვსკაიასთან ნახევარფინალურ შეხვედრაში ჩემი სულ მცირე წაფორხილება „ჩავარდნად", ტრაგედიადაც კი აღიქმებოდა. ხშირად ჩემივე თავის დარწმუნებაც კი მიჭირდა, რომ ეს ასე არ იყო. უეჭველია, წარმატებებისთვის ჯერ კიდევ არ ვიყავი მომზადებული. აქ რაიმე ჯავშანი, უგრძნობლობა ან სიჯიუტე არ წყვეტს ყველაფერს. სულ სხვა რამ იყო საჭირო. ადრე დამარცხებას უფრო განვიცდიდი. რატომ? ნაკლებს ვფიქრობდი თვით ჭადრაკზე. უფრო სწორად, ვუყურებდი როგორც მხოლოდ თამაშს — გამარჯვება იყო ერთადერთი მიზანი და აზრი. ახლა ჭადრაკი ჩემთვის მარტო თამაში აღარ არის, ის ცხოვრების აზრად იქცა... როგორ ამბობთ ხოლმე? — მაია მწვრთნელს მიუბრუნდა.

— ადამიანური ყოფის ფორმა, — ღიმილით ამბობს გუფელდი, — და ადამიანის მოღვაწეობის ფორმა.

—ზოგჯერ ის, რაც ამ პატარა ოთხკუთხედ დაფაზე ხდება, წყენისა და ტკივილის მიზეზად იქცევა ხოლმე, თითქოს მეგობარი გაგიხდა ავად, მაგრამ ისეც არის, ზღვა სიხარული წაგიღებს — თითქოს საკუთარი ხელითააშენე სახლები, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობს. სხვა რამეც შეუძლია ამ სამოცდაოთხ უჯრას — უცებ მშვიდი და ნათელი სიო გამოინავარდებს ტყიდან, მიუშვერ სახეს და შეგიძლია უსასრულოდ იცინო, იცინო... თუმცა, გამარჯვება მაინც მიყვარს. მაგრამ ისე არა, როგორც ადრე — „რადაც არ უნდა დამიჯდეს".

— მარტო ადრე? — თითქოსდა სასხვათაშორისოდ იკითხა მწვრთნელმა.

— არა, დროდადრო ახლაც, მაგრამ ამას ის ძველებური სიხარული აღარ მოსდევს. ასეთი რამ სილამაზის შეგრძნებასთან, საკუთარი თავისთვის რაღაც ახალის აღმოჩენასთან ერთად მებადება. ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში ყოველთვის არის ამის შესაძლებლობა. ამ მხრივ ბევრი სიხარული მომიტანა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობამ.

— რომ არ გაგემარჯვნა, მაშინაც?

— არა, რას ამბობთ. გამარჯვება აუცილებელი იყო.

— მაგრამ ამ ჩემპიონატს რომის საერთაშორისო ტურნირი ანაცვალე, იქ დიდოსტატი მამაკაცები თამაშობდნენ.

— რა თქმა უნდა, მოჭადრაკე ქალისთვის ეს დიდი პატივია, მაგრამ მაინც ქალთა ტურნირი ვარჩიე. ჩემი მეტოქეები ახლა საკმაოდ „გაჯავრებულნი" არიან. ვიცოდი, ძალების დაუზოგავად შემებრძოლებოდნენ, განსაკუთრებით კი პრეტენდენტთა მატჩებში გამარჯვებათა გამო. ასეც მოხდა.

პირველი შემთხვევაა, როცა 16 წლის მოჭადრაკე პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეა. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი კი რიგით მეხუთე იყო მაიასთვის. და საერთოდ, ქალთა ჭადრაკი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. მაგრამ ჩიბურდანიძე ამ ფონზეც კი გამოირჩევა.

— [illegible] მაიამ. — გვერდზე უნდა გადავდო ყველა გართობა. წინ ახალი ფინალური მატჩი, წლეულს ვამთავრებ სკოლასაც. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, რომ იცოდეთ, როგორ მომენატრება ხოლმე ჩემი კლასი, როცა შეჯიბრება გაჭიანურდება. ლვოვის ჩემპიონატის შემდეგ თანაკლასელები დამხვდნენ აეროპორტში, ლექსებიც კი წამიკითხეს. ასეთ რამეს ვერ დავივიწყებ.

— რომელ გართობებს გულისხმობ?

— თვით წიგნებიც კი, — ჩაძარცვლით ამბობს ედუარდ გუფელდი. — ქალბატონი ნელი იზრუნებს ამისთვის.

ქალბატონმა ნელიმ, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ეჭვით შეხედა ქალიშვილს. მაიამ კი ჩუმად, მაგრამ გოგონასთვის უჩვეულო სიმტკიცით ჩაილაპარაკა.

— აი, ეგ კი...

გუფელდმა ამოიოხრა.

ეს „გასართობი" სკოლის მოსწავლისთვის ერთობ უჩვეულოა — ძველქართული. მაია მას უკვე დამოუკიდებლად კითხულობს და წერს კიდეც. ალბათ ფილოლოგიური ფაკულტეტი იქნება სკოლისშემდგომი ნაბიჯი. — თუმცა, ერთერთი საპასუხისმგებლო პარტიის შემდეგ იქვე დაფაზე პატარა სახლიც ააგო ფიგურებისგან და ძალიან უხაროდა, რომ მხედრით, კუთი, ლაზიერითა და სხვა ფიგურებით აშენებული სახლი არ ენგრეოდა.

**ტ. ჭანტურია.**
„კომსომოლსკაია პრავდა".

**ᲥᲐᲚᲗᲐ** მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში სასპარეზოდ 9 იანვარს თბილისიდან ბად-კისინგენში (გფრ) გაემგზავრა სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი **მ. ჩიბურდანიძე.** მასთან ერთად გაემგზავრნენ დედა **ნელი ხურციძე,** მწვრთნელი დიდოსტატი **ე. გუფელდი** და მწვრთნელი-კონსულტანტი დიდოსტატი **ბ. გურგენიძე.** დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე **გ. გაჩეჩილაძე.** ფინალური მატჩი 18 იანვარს გაიხსნება, 20-ში კი პირველი პარტია გაიმართება.

# ბუნების დაცვის სადარაჯოზე

**ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ** ცუდი ამინდი იყო. დილიდანვე წამოიშალა საავდრო ღრუბლები. ზღვას ფერი აეძღვრა და ქარდაკრული ტალღები გაავებულები ეხეთქებოდნენ ნაპირს. ბანაობა არ ღირდა. დამსვენებლები ეზოშიც ველარ ჩერდებოდნენ. მხოლოდ ბავშვები არ ნებდებოდნენ სიცივეს, ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას.

შორიდან მანქანის ძრავის თუხთუხი მოისმა. ვალოდია ბიძია მოდისო, კისრისტეხით მისცვდნენ ჭიშკარს პატარები და გზაზე ჩამწკრივდნენ. სათითაოდ მოესიყვარულა მოსული ყველას. ეზოში მხიარულად შეალაჯა და მშვიდობის საღამო უსურვა დამხვდურებს.

გაამხნევა ყველა: ნუ გეშინიათ, მალე გამოიდარებსო, შეეხმიანა ბივანზე გამოფენილ ხალხს და ნელა აუყვა კიბეს. ცოტა არ იყოს, ეუხერხულებოდა კიდეც ჩანაფიქრის განხორციელება. გამგეობის წევრებთან ხომ არ უწევდა საუბარი, შეჩვეული და თანშეზრდილი თანამშრომლები კი არ მოუსმენდნენ ბმჯერად. მოდი და ისე ისაუბრე, გურულ დიალექტს თავი აარიდე. ეგ იყო საუბრის თემის იმედი ჰქონდა: ვინ მიაქცევდა გურულ კილოკავს ყურადღებას, როცა ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს უნდა შეხებოდა, როგორიც ახალი კონსტიტუციაა. ჰოდა, ისევ მოეცა გული. თამამად გაშალა გაზეთი და სახელდახელოდ თავმოყრილ დამსვენებელთ მიტინგის გახსნა აუწყა.

მერე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. რიგრიგობით ხმამაღლა კითხულობდნენ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, და მის განხილვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, მშობლები და შვილები, პედაგოგები და მოსწავლეები, ხელოვნებისა და პრესის მუშაკები, სპორტის წარმომადგენლები...

გაიმართა დიდი სჯა-ბაასი, აზრთა გაზიარება. ეთერ გურგენიძეს განსაკუთრებით ის მუხლი დაუმახსოვრებია, რომელიც კიდევ ერთხელ აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. თამილა ახაბაშვილი ხელმეორედ კითხულობს იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება". კარლო მდინარაძესა და მის ახლადშერთულ ცოლს აინტერესებს მეთორმეტე მუხლი, რომელშიც სწერია, რომ „მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებსაც მათ სახელმწიფო და კოლმეურნეობანი აძლევენ". მერაბ ბერაძე საერთო ანალიზს უკეთებს წაკითხულსა და განხილულს.

საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა ეთერი, ქიმიკოსია თამილა, რადიო-ტელევიზიის კომიტეტში უფროს რედაქტორად მუშაობს მერაბი, ურეკის მიწერილი მეურნეობის ეგერობა მიუნდვიათ კარლოსთვის და კიდევ: ფიზიკოსი ნანა გოცირიძე, სტუდენტი პაატა ჯიქია, ძველი მონადირე პავლე კვაჭანტირაძე, მოსწავლე რეზო დავითაშვილი...

ყველამ ერთსულოვნად მოიწონა ეპოქის ქარტიად აღიარებული პროექტი, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი, რომელიც ხალხის ნებასა და სურვილს გამოხატავს.

გვიანობამდე არ ჩამქრალა შუქი ურეკის სამონადირეო სახლში იმ ღამეს. მახარაძის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების ურეკის მიწერილ მეურნეობაში დგას ეს სახლი, ორსართულიანი, ღია აივნებითა და ფართო ფანჯრებით დამშვენებული, მყუდრო და განცალკევებული. ეზოში ხილიც ბლომადაა. და, რაც მთავარია, აქვეა ზღვა, რომლის ქვიშა საქვეყნოდაა ცნობილი. სასწაულებრივი ძალა ჰქონია აქაურ ქვიშას, მაგნიტიანსა და სასარგებლოს, ბაჟი მაგნიტიტი შეარქვეს კიდეც ურეკს. განსაკუთრებით პატარებისათვის ყოფილა მისწრება და ცენტრიდან კარგა მანძილზე მოშორებული ეს კუთხე ყველაზე მოხერხებულ ავარაკად მიუჩნევიათ მშობლებს.

ყოველწლიურად ისვენებენ რესპუბლიკის მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის თანამშრომელთა შვილები, დამსახურებული მონადირეების ოჯახები, მეცნიერები... ისვენებენ და მერე, წასვლისას, აუცილებლად ადიან მახარაძეში, ვლადიმერ ჯინჭარაძესთან. კაბინეტში ემშვიდობებიან მახარაძის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების თავმჯდომარესა და ურეკის სამონადირეო სახლის გამგებელს.

ადრე იმ ლელობურთის გუნდის კაპიტანი იყო ვლადიმერ ჯინჭარაძე, 1948 წელს რომ შეიქმნა ქობულეთში. ძველი და ეროვნული სპორტია ლელობურთი. ქობულეთელ ლელობურთელებს პირველად პეტრე მინდაძე კაპიტნობდა. პეტრე პატიკო გოგუაძემ შესცვალა. მერე ვლადიმერ ჯინჭარაძე მივიდა და აჭარის მრავალგზის ჩემპიონი ქობულეთის ლელობურთის გუნდი საქართველოში პირველობდა კარგა ხანს.

პირველობა არც ახლა აკლია ჯინჭარაძეს. კარგად ვიცნობ იმ საზოგადოებას, რომელსაც წლების მანძილზე ის უდგას სათავეში. სათითაოდ ვწვევივარ ეგერებს, მისაუბრია გამგეობის წევრებთან, გავცნობივარ პირველადი კოლექტივების თავმჯდომარეებს, დავსწრებივარ მესტენდურეთა შეჯიბრებას, მონადირეებთან ერთად მივლია საჩვენებელ სანადირო მეურნეობებში, მათ მიერ მოკლული დათვიც მინახავს და კვერნის ბეწვის ბზინვარებაც შემიმოწმებია.

ბიჭიკო მეგრელაძესაც შევხვედრივარ. სსრ კავშირის სპორტის ოსტატი რომ იყო, კაცური კაცი, მტაცებელ ნადირ-ფრინველთა რეგულირების სექციას რომ ხელმძღვანელობდა. ახლა ვალოდია ჯინჭარაძის კაბინეტში ბიჭიკოს გადიდებულ სურათს ვხედავ და სევდით ვივსები. უდროოდ გამოეცალა ბიჭებს ხელიდან ეს ღვთისნიერი კაცი.

მაშინ ბორის სიამაშვილიც შემიქია და რომან ლომინაძეზეც მითქვამს ორიოდე სიტყვა, მოწინავე ეგერია ერთი, საქართველოს საპატიო მონადირეა, ფეხით რომ ჩამოვიდა თბილისში და საიუბილეო წლის გეგმის ნაადრევი შესრულების ამბავი მოიტანა დედაქალაქში. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია მეორე. გულიანი ხალხია და გულიანი წერილიც დამიწერია მათზე. ეს იყო ერთი წლის წინათ.

მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება ვილაპარაკო მახარაძელ მონადირეთა ვაჟკაცურ საქმიანობაზე, მათ ახალ თაოსნობებზე, გაზრდილ ვალდებულებებზე, რომელთა ინიციატორი ყოველთვის ყოფილა ვლადიმერ ჯინჭარაძე.

მრავალი ახალი და სასარგებლო ღონისძიება გაუტარებიათ ერთ წელიწადში. ჩვენი დიადი სამშობლოს საიუბილეოდ ხომ განსაკუთრებით გამოუდვიათ თავი. გეგმებიც საგრძნობლად გაუზრდიათ და ვალდებულებებიც საპასუხისმგებლო უკისრიათ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს გამარჯვებულები შეეგებნენ მახარაძელი მონადირეები, უპირველეს მოვალეობად რომ მიაჩნიათ ბუნების დაცვა, ჩვენი უნიკალური ფლორისა და ფაუნის მზრუნველობა. დიახ, „ჯერ მოამრავლე, შემდეგ გამოხშირე". ამ ჭეშმარიტებას დიდი ხანია იცავენ რაიონში. 3000-მდე მონადირეა აღრიცხვაზე მახარაძის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებაში. 13.000 ჰექტარი მიწერილი მეურნეობაა სულ. სადაც საკმაოდ მომრავლებულა ნადირ-ფრინველი.

მრავალფეროვანი იყო საზოგადოების გამგეობის საიუბილეო წლის სამუშაო გეგმა. მაღალ დონეზე ჩატარდა რაიონული კონფერენცია, თვეში ერთხელ ტარდებოდა გამგეობის სხდომები, რომლებზეც რეგულარულად იხილებოდა საკითხები სამონადირეო მეურნეობის განვითარებაზე, სასტენდო საქმეზე, ჯგუფურ ნადირობაზე, ეგერების მუშაობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაზე...

პერიოდულად ისმენდნენ მუდმივმოქმედი სექციების მიერ ჩატარებულ მუშაობას, ბუნების დაცვის ზონალურ ინსტრუქტორებთან ერთად აწყობდნენ რეიდებს ბრაკონიერების გამოსავლენად, საზოგადოებრივ საწყისებზე ტარდებოდა შაბათობები ქაკიჯვარსა და ურეკში. მოეწყო ამხანაგური შეხვედრები სასტენდო სროლაში აჭარის მონკავშირის მესტენდურეთა გუნდთან, ასევე, დამჭერ-ფრინველთა სარაიონთაშორისო შეჯიბრება... სამასამდე მონადირე დაესწრო რაიონულ აქტივს.

თითოეულმა სექციამ იცის თავისი უფლება-მოვალეობა. ამიტომაცაა, ყველა სახეობაში მუდამ დიდ წარმატებას აღწევდნენ აქაურები, მაგრამ მეათე ხუთწლედი მაინც განსაკუთრებული მონდომებით დაიწყეს და 1977 წელიც გამარჯვებებით დაასრულეს. მარტო წმინდა დაგროვების გეგმა 160 პროცენტით შეასრულეს და 18500 მანეთი 29500-მდე გაზარდეს. მეტი ამოცანები დაისახეს შემდგომისთვის. მიწერილ მეურნეობებში მეტი ყურადღება მიექცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთ, გაძლიერდეს ქმედითი დახმარება საზოგადოებრივ ინსტრუქტორებზე, მაღალ დონეზე წარიმართოს კულტმასობრივი მუშაობა პირველად კოლექტივებში...

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებში აღნიშნულია, რომ გეგმის გადაჭარბებით შემსრულებელ ორგანიზაციებს შორის სხვა მოწინავეებთან ერთად განსაკუთრებით კარგად მუშაობს და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს მახარაძის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოება.

ეს იმას ნიშნავს, მახარაძელები პირნათლად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

ეს იმას ნიშნავს, აქაური მესტენდურეები კვლავაც გამარჯვებული გამოვლენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.

**ნანა ჩიგოგიძე.**

მსოფლიო პირველობა

# როგორი იქნება წილისყრა?

ეს საკითხი ახლა განსაკუთრებით აინტერესებთ ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას. თვით წილისყრა 14 იანვარს მოხდება, ხოლო მანამდე არის აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა მის პრინციპებზე.

ფრანს-პრესის სააგენტომ ამას წინათ გამოაქვეყნა ვარიანტი, რომელიც მისი ავტორების აზრით შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩემპიონატის მონაწილეთა განაწილებას ქვეჯგუფებად. სააგენტოს წინადადებით პირველ ჯგუფში (ბუენოს-აირესი) უნდა შევიდნენ მასპინძლები — არგენტინელები, მეორეში (კორდოვა) — მსოფლიო ჩემპიონები, გფრ-ის ფეხბურთელები, მესამეში (მარ-დელ-პლატა) — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები, ბრაზილიელები და მეოთხეში (მენდოსა) — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები, იტალიელები.

შემდეგ უნდა მოხდეს სუსტი გუნდების განთესვა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ირანი, ტუნისი, პერუ და მექსიკა, ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გეოგრაფიული კრიტერიუმი, რომ პერუ და მექსიკა არ მოხვდნენ არგენტინასთან და ბრაზილიასთან ერთად.

დანარჩენი 8 ნაკრებიდან იქვსს ნათამაშევი აქვს წინა მსოფლიო ჩემპიონატების ნახევარფინალ ებში. ფრანს-პრესის წინადადებით პოლონელები, მაგალითად, არ შეიძლება მოხვდნენ გფრ-თან, რომელთანაც წააგეს 1974 წელს და ბრაზილიასთანაც, ვინაიდან წინა მსოფლიო ჩემპიონატში მას შეხვდნენ III ადგილისთვის. არ შეიძლება პოლონელთა მოხვედრა იტალიელებთანაც, ვინაიდან ორივე ერთი გეოგრაფიული ზონის წარმომადგენელია. ამიტომ პოლონეთი განაწილდა არგენტინის ჯგუფში. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები — ჰოლანდიელები ჩაირიცხნენ IV ჯგუფში იტალიელებთან. ახსნა ისაა, რომ ამ გუნდებს ერთმანეთთან არ უთამაშიათ წინა მსოფლიო ჩემპიონატებში.

ერთი სიტყვით, ფრანს-პრესმა ასეთი სურათი მიიღო: **I ჯგუფი** — არგენტინა, პოლონეთი, ირანი (ან ტუნისი); **II ჯგუფი** — გფრ, მექსიკა (ან პერუ); **III ჯგუფი** — ბრაზილია, უნგრეთი, ირანი (ან ტუნისი); **IV ჯგუფი** — იტალია, ჰოლანდია, პერუ (ან მექსიკა). დარჩა ის, რომ განაწილდეს დარჩენილი გუნდები: შვეცია, საფრანგეთი, ესპანეთი, შოტლანდია და ავსტრია.

მაგრამ ყველაფერი ეს ერთ-ერთი ვარიანტია, ნამდვილი სურათი კი 14 იანვარს წილისყრის შემდეგ გაირკვევა.

ფეხბურთი

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ



# „ტორპედო“ ემზადება

ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების არდადეგები დამთავრდა. „ა“ კლასის სამივე ლიგის კოლექტივები შეუდგნენ წინასასეზონო სამზადისს 1978 წლის გათამაშებებისთვის. დაიწყო მზადება საქართველოს მეორე გუნდმა — ქუთაისის „ტორპედომაც“, რომელსაც წლეულს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს: ამ გუნდში აღზრდილი ფეხბურთელი, შემდგომში თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშე **რევაზ ძოძუაშვილი**.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა რ. ძოძუაშვილს და თხოვა მოეთხრო, თუ როგორ ემზადებიან ქუთაისის ტორპედოელები წინამდებარე სეზონისთვის. აი, რა გვიამბო გუნდის უფროსმა მწვრთნელმა:

— ქუთაისელ ფეხბურთელთა წინაშე, წელს განსაკუთრებით რთული ამოცანებია დასახული. მათ წარმატებით უნდა იბრძოლონ პირველი ლიგის ძლიერ გუნდებთან, გაუძლონ იმ მწვავე კონკურენციას, რომელიც იქაა გაჩაღებული საუკეთესოთა შორის და დაიკავონ ღირსეული მაღალი ადგილი. შარშან ტორპედოელებმა შეძლეს მათ წინაშე მდგარი ამოცანის შესრულება, თავიანთ მაყურებელს მთელ რიგ მატჩებში აჩვენეს ჩამოყალიბებული, კვალიფიცირებული თამაში, შესაფერისი კლასი, ტოლი არ დაუდეს აღიარებულ მეტოქეებს, დიდი ქალაქებისა და ყველაფერი, გამოყენებული იქნას ყველა რეზერვი, ყველა რესურსი.

ქუთაისელთა შარშანდელ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გუნდის მაშინდელ უფროს მწვრთნელს ანატოლი ნორაკიძეს. ახლა კოლექტივს მთლიანად, და, კერძოდ, მის ახალ ხელმძღვანელობას მართებს ყველა ღონეს მიმართოს, რათა გუნდის სიძლიერე და მისი მაჩვენებლები არ იყოს ადრინდელზე ნაკლები. მე ქუთაისის გუნდში ვარ აღზრდილი და კარგად ვიცნობ მის ფეხბურთელთა მდიდარ შესაძლებლობებს. ეს ნიჭიერი, ენერგიული, თავდადებული სპორტსმენებია, რომელთა რიცხვიდან იშვიათად როდი ხვდებიან საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა, ახალგაზრდულ და პირველ ნაკრებ გუნდებშიც კი. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ტორპედოელთა ეს მდიდარი პოტენციური შესაძლებლობები ახლაც გამოიჩენს თავს და ამ გუნდიდან კვლავ გამოვლენ ფეხბურთელები დიდ ასპარეზზე, თვით კოლექტივი კი არ დათმობს მოპოვებულ პოზიციებს.

მსურს მკითხველებს, ფეხბურთის მოყვარულებს ვუთხრა, რომ ჩვენს კოლექტივში, თვით ფეხბურთელებში იგრძნობა მისწრაფება კიდევ უფრო განვამტკიცოთ შარშანდელი წარმატება, თუმცა კარგად ვიცით, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება ძალების მაქსიმალური მობილიზება, მთელი ენერგიით ბრძოლა.

ქუთაისის „ტორპედოში“ შარშანრესპუბლიკების წარმომადგენლებს და საბოლოოდ დამსახურებულად დაიკავეს ადგილი პირველ ათეულში. ამას გარდა, ქუთაისის „ტორპედოში“ კვლავ გამოჩნდნენ ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელები, რომლებმაც საიმედო შევსება მისცეს საქართველოს პირველ გუნდს — თბილისის „დინამოს“.

ამ თვალსაზრისით ქუთაისის „ტორპედო“ ღირსეულად იბრძვის პირველ ლიგაში, მაგრამ საიდუმლოებას არავისთვის წარმოადგენს ჩვენი მთავარი ამოცანა: კვლავ ვიხილოთ „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში, თბილისის „დინამოს“ გვერდით და რაც არ უნდა რთული იყოს ეს ამოცანა, თითოეულ ჩვენგანს, გულშემატკივარსაც და სპეციალისტსაც, ნანატრ მიზნად გვაქვს — საქართველო ისევ იბრძოდეს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდით. ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა გაკეთდეს დელთან შედარებით ცვლილება უმნიშვნელოა, შეგვემატა რამდენიმე ახალი წევრი, მათ შორის მცველი მახარაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, თავდამსხმელი ჩიმაკაძე თბილისის „სპარტაკიდან“, ნახევარმცველი თევზაძე ხობის „კოლხეთიდან“, ავიყვანეთ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე.

წინასასეზონო წვრთნას შევუდექით 15 დეკემბერს. სურვილი გვქონდა თბილისის „დინამოს“ ნაცვლად მონაწილეობა მიგვეღო უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდების საკავშირო ტურნირში მინი-ფეხბურთში, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ამიტომ წვრთნას განვაგრძობთ დასახული პროგრამით. იანვარში გავემგზავრებით გაგრაში, შემდეგ — ლესელიძეში და კვლავ დავბრუნდებით ქუთაისში. ვცდილობთ საწვრთნელი მეცადინეობანი შეძლებისდაგვარად გავხადოთ საინტერესო, ხალისიანი, შინაარსიანი. კოლექტივის ყოველი წევრი სრული სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. არ ზოგავს ძალას ვარჯიშისას და მე ჯერ არ მქონია შემთხვევა, საყვედური მეთქვას ვინმესთვის. გვაქვს კონკრეტული გეგმა და იგი კონკრეტულადაც სრულდება, ყველა მონდომებულია, ყველა სრულად ავლენს თავის შესაძლებლობებს.

„ტორპედოს“ გამოცდილ მოთამაშეთაგან მწყობრშია ყველა, არის საიმედო რეზერვიც. საწვრთნელი პირობები საუკეთესოა, ქალაქის ხელმძღვანელობა ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებს კოლექტივს, რათა მისი მზადება და შეჯიბრებებში მონაწილეობა სათანადო დონეზე წარიმართოს.

რამდენიმე სიტყვა ქუთაისელი მაყურებლის შესახებ. იგი ბოლომდე ერთგულია თავისი გუნდისა, ხალისით ესწრება თამაშებს, მხარს უჭერს ფეხბურთელებს და ჩვენც ვალდებული ვართ დავაფასოთ ეს სანაქებო კეთილგანწყობილება, კარგი თამაშით მოვგვაროთ კმაყოფილება გამრჯე ქუთაისელ ხალხს.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა თბილისის „დინამოსთან“ ქუთაისის „ტორპედოს“ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ეჭვი არაა, ქუთაისელი ფეხბურთელების რიცხვიდან კვლავ და კვლავ აღიზრდებიან მაღალი კლასის ოსტატები, რომლებიც მომავალშიც დაამშვენებენ ჩვენი საუკეთესო გუნდის რიგებს, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ თავიანთ მხრივ, დინამოელებიც არ დატოვებენ უყურადღებოდ „ტორპედოს“ და დაეხმარებიან მას გუნდის გაძლიერების თვალსაზრისით.

• • •

სურათზე: რ. ძოძუაშვილი.

თ. ქიქავას ფოტო.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

# სხვადასხვა განედზე



შაბათ-კვირას ხაბაროვსკელები ჯანმრთელობის მატარებელ „სნეჟინკათი“ მიემგზავრებიან ხეხცირის ნაკრძალის ქალაქგარეთა ზონაში.



ზამთარია, პრჟევალსკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ნიჩბოსნები კი განაგრძობენ ვარჯიშს ისიკ-ყულზე.

ხაკდესის ფოტოები.

# წვრთნა — ყოველგვარ ამინდში

ზამთარია, მაგრამ თბილისში, „სიხარულის“ სტადიონზე დიდი გამოცოცხლებაა. აქ ვარჯიშობენ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი შ. მერკვილაძე) აღსაზრდელები. ტყავის ბურთის მომავალ ოსტატებს ავარჯიშებენ მწვრთნელები მ. ჭუმბურიძე და ო. გუგუშვილი. ამ სკოლის აღსაზრდელებმა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით შარშან გამოიჩინეს თავი: ტყავის ბურთის პრიზზე გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მათ ყველას აჯობეს, ორჯონიკიძეში ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრებაში კი II ადგილი დაიკავეს. ფიზიკური მომზადებითა და თამაშის განსხვავებული მანერით ნორჩმა თბილისელებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები ძირითადად 48-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. ფეხბურთის სკოლის დირექტორმა შ. მერკვილაძემ და 48-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გ. გელაშვილმა შარშან კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მათი უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით 48-ე საშუალო სკოლაში ფეხბურთის სპეციალიზებული კლასი ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ტყავის ბურთის მომავალი ოსტატები არც სწავლაში ჩამორჩებიან.

გ. ნავდარაშვილი.

ხელბურთი

## ცენტრალური: სსრ კავშირი — რუმინეთი

**ესპანეთის** ქალაქ ლა-კორუნიაში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე გამარჯვება იზეიმა, როცა მოუგო საფრანგეთის ეროვნულ გუნდს — 23:15. პირველი დამარცხება იწვნიეს ტურნირის მასპინძლებმა ესპანელმა ხელბურთელებმა რუმინეთის ნაკრებთან შეხვედრაში — 16:23. ახლა სამ გუნდს — სსრ კავშირის, რუმინეთისა და ესპანეთის გუნდებს — 4-4 ქულა აქვთ, ოღონდ საბჭოთა ხელბურთელებს ბურთების უკეთესი სხვაობა — 53:31. შეჯიბრების ცენტრალური მატჩი იქნება რუმინელ და საბჭოთა ხელბურთელთა გუნდების მატჩი, რომლებიც დაუმარცხებლად იბრძვიან.

მოტოსპორტი

## აგოსტინის გადაწყვეტილება

**მსოფლიოს** მრავალგზის ჩემპიონმა მოტორბოლაში ჯაკომო აგოსტინიმ გადაწყვიტა დაასრულოს მოტომრბოლელის სპორტული კარიერა. როგორც ბერგამოდან იუწყებიან, მომავალში იგი I ფორმულის ავტომანქანების შეჯიბრებებში იასპარეზებს.

# ცნობები აჭარიდან

**დამთავრდა** აჭარის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. საპრიზო ადგილებისთვის ძირითადად „ვოდნიკის“, „კოლმეურნისა“ და „ბურევესტნიკის“ სპორტული საზოგადოებები იბრძოდნენ და ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

აჭარის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მ. ზოიძე, მ. მგელაძე (ორივე — „კოლმეურნე“), ხ. გუტასი, ტ. ბრუნჯაძე, ა. მიქელაძე და გ. ჯანელიძე (ყველა — „ვოდნიკი“), ვ. მიქელაძე, ჯ. მახარაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“), ნ. ჩანჩიბაძე („კოლმეურნე“) და მ. დანელია („განთიადი“).

**დამთავრდა** „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ბათუმის ინდუსტრიული, სავაჭრო ტექნიკუმებისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის, აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს მოჭიდავეები.

პირველი ადგილი დაისაკუთრეს ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტსმენებმა. მეორე საპრიზო ადგილზე სავაჭრო ტექნიკუმის მოჭიდავეები გავიდნენ, მესამე ადგილი ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოჭიდავეებს ხვდათ წილად.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. კონცელიძე, გ. ქათამაძე, ა. დარჩიძე, (ყველა — სავაჭრო ტექნიკუმი), ნ. ქადიძე (ინდუსტრიული ტექნიკუმი), ხ. თებიძე (სავაჭრო ტექნიკუმი), რ. ფუტკარაძე (კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი), ნ. შავაძე (ინდუსტრიული ტექნიკუმი), ტ. ხიშიაშვილი (კულტსაგანმანათლებლო ტექნიკუმი), ბ. კომახიძე, დ. ტაკიძე, ვ. ცინცქილაძე (ყველა — ინდუსტრიული ტექნიკუმი).

**ბათუმში** 5 დღეს მიმდინარეობდა საქართველოს საშემოდგომო პირველობა ხელბურთში 1961-1962 წლებში დაბადებულ მოსწავლეთათვის. მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და სხვა ქალაქებისა თუ რაიონების გუნდები.

ჭაბუკთა შორის ყველაზე უკეთ თბილისელებმა იასპარეზეს, აჭარელი ხელბურთელები მეორე ადგილს დასჯერდნენ, მესამეზე აფხაზეთის გუნდის წევრები გავიდნენ.

გოგონათა შორისაც თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს აფხაზეთის თანატოლები და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. მესამე ადგილი აჭარის წარმომადგენლებს ხვდათ.

ნ. დევაძე.

## გვესაუბრებიან მწვრთნელები, სპორტსმენები...

●

# აჯამებენ შედეგებს

ვლადიმერ ბესონოვი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი:

— როცა მომავალ სპორტულ სეზონზე ვფიქრობ, მუდამ მახსენდება გასული წელი, რომელიც ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისთვისაც სასიხარულო იყო. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა და კიევის „დინამო“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

მოგონებები არა მარტო სასიამოვნო, არამედ სასარგებლოცაა. ისინი ნათელს ჰფენენ ჩავარდნებისა და მარცხის მიზეზებს, რომლებიც წლეულს არ უნდა გამეორდეს.

მე ახალგაზრდა ფეხბურთელთა რიცხვს მივეკუთვნები და ჩვენზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი საყვარელი თამაშის შემდგომი განვითარება, მაყურებელთა მოსვლა სტადიონებზე, ჩვენი გუნდების წარმატებიანი ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე.

ვუსურვებ საკუთარ თავს, პარტნიორებს და მეტოქეებსაც მეტ სიცხოველეს თამაშში, სპორტულ აზარტსა და მიზანსწრაფვას.

იური შახმურადოვი — სსრ კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

— წლევანდელ სეზონში ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ მოპოვებული პოზიციები. ნაგრამ ადვილია? შარშან ჩვენ ბევრჯერ გავიმარჯვეთ, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული წარმატება. აქ ჩვენმა ათლეტებმა 6 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ამავე დროს, გასული წლის საერთაშორისო შეჯიბრებებმა დაგვანახა, რომ მიუხედავად ყოველ წონითს კატეგორიაში 2, ხანდახან 3 და 4 ნაკრების კანდიდატისა, ექსტრა-კლასის ოსტატების ღირსეული შემცვლელები არა გვყავს 48 კგ-მდე, 48, 52-მდე, 82-მდე და 90 კგ წონითს კატეგორიებში. პირველობის შესანარჩუნებლად კი საჭიროა კარგი, საიმედო რეზერვი.

ჩვენს ქვეყანაში თავისუფალ ჭიდაობას 380 ათასზე მეტი სპორტსმენი მისდევს. ძირითადად შევსებას ვღებულობთ მახაჩყალის, გროზნოს, კრასნოიარსკის, კალინინგრადის, ორჯონიკიძის და რსფსრის სხვა ქალაქების სპორტული სექციებიდან. მაგრამ ეს არ კმარა. მით უმეტეს, რომ ბელორუსიის, საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკის მწვრთნელებმა შეამცირეს მაღალი კლასის მოჭიდავეთა მომზადება.

სეზონს გავხსნით 24 იანვარს ერევანში აშშ-ის ნაკრებთან ტრადიციული ნატჩით (საკდესი).

# შეუპოვარი ნელი კიმი



ძნელია, ჩვენი ოლიმპიელების კოჰორტიდან ვინმეს უპირატესობა მიანიჭო. რესპუბლიკაში ყველამ იცის ვ. რეზანცევის, ნ. კიმის, ნ. შუვაევას, ი. ზაიცევის, ა. ბიკოვის, ა. ივანოვის, ი. გარანინის სახელები, რომლებიც ზამთრის და ზაფხულის ბოლო ოლიმპიადებიდან შინ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ. ძნელია პოპულარობაში შეეცილო პლანეტის უძლიერეს ადამიანს მოჭიდავე ვ. რეზანცევს. მას სხვადასხვანაირი ტიტულების კოლექცია აქვს — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონი.

და მაინც ჩიმკენტელი ტანმოვარჯიშის ნელი კიმის პოპულარობა მისას არ ჩამოუვარდება. სპორტული გაზეთისა და ჟურნალის რედაქციებში მიღებული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ...

„ოლიმპიადის დაუვიწყარ დღეებში ყველას პირზე ეკერა ნელი კიმის სახელი. ახლა მილიონობით ადამიანი აღფრთოვანებულია ამ სპორტსმენით, ცდილობს მიჰბაძოს მას, ათასობით მოზარდმა მისი გავლენით შეიყვარა ტანვარჯიში. ვინ იცის, მათ შორის იქნებ მომავალი ჩემპიონიცაა. ჩემის აზრით, გმირი ისაა, ვისაც მიმდევრები ჰყავს. ნელი — ნამდვილი გმირია!“

ალიკ ჟუმაბაევი, X კლასის მოსწავლე.

აი, მეორე წერილი ჯამბულიდან: „მისი წარმატება აღმაფრთოვანებელია. ნელი საინტერესო ტალანტია! ეს ახალგაზრდა, სიმპათიური ქალიშვილი ძალიან შრომისმოყვარეა. მასში არაჩვეულებრივადაა შერწყმული ახალგაზრდობა და გამოცდილება. ნელის დიდი მომავალი აქვს“ — წერს მეათეკლასელი ლენა შპეხტი.

და კიდევ რამდენიმე სტრიქონი: „...განსაკუთრებით მომწონს ნელის მიერ შესრულებული თავისუფალი ვარჯიში. იგი ისეთი მსუბუქი ხდება, თითქოს უწონადი. ამბობენ, ბავშვობაში სუსტი, ავადმყოფური შესახედაობისა იყოო, ახლა კი — სახელოვანი ტანმოვარჯიშეა!“ — აღფრთოვანებულია თავისი გმირით კატია ნურმაგამბეტოვა.

შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, გამარჯვებისკენ სწრაფვა, ნიჭი — თვისებათა ასეთ იშვიათ შერწყმას აჰყავს სპორტსმენი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ნელიმ კი სპორტში თავისი გზა ასეთი კატეგორიული განცხადებით დაიწყო: „სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობას ჩემთვის აზრი არა აქვს“. და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა საქმე, მწვრთნელს, ახლა უკვე სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვლადიმერ ბეიდმანს რომ არ ეძალა. იმ დროს ნელისგან უნდოდათ „გამოეყვანათ“ ქვეყნის ჩემპიონი მძლეოსნობაში, ან ცურვაში.

ყველაფერი ეს დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა. ყაზახი სპორტსმენის სახელი ჩაწერილია მსოფლიო ტანვარჯიშის მატიანეში. და აი, ნელის უწოდებენ „უნერვო“, „რკინის“ სპორტსმენს. მხედველობაში აქვთ უპირველესად, მისი გამოსვლების სტაბილურობა. ამ სტაბილურობის საიდუმლოების ახსნა ძალიან ადვილი გამოდგა და მას სიამოვნებით ხსნიან მისი მწვრთნელები ვ. ბეიდმანი და მ. საკაევი და ქორეოგრაფი გ. ბარკოვა.

რატომ არ არსებობს ნელი კიმისთვის შეუძლებელი? რატომ არა აქვს მას ჩავარდნები?

ამის ახსნა ისევ მის უდიდეს შრომისმოყვარეობასა და შეუპოვრობაში უნდა ვეძიოთ.

● ● ●

სურათზე: ნ. კიმი დვირზე ვარჯიშისას.

# იანვარში — სტადიონებზე

**ავსტრალიაში** ზაფხულია. მძლეოსნები ღია სტადიონებზე საკმაოდ მაღალ შედეგებს აჩვენებენ. ბრისბენში „მწვანე კონტინენტის“ ათლეტებთან ერთად ძალებს ცდიდნენ ამერიკის, პოლონეთის, ირლანდიის, ახალი ზელანდიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. მაგრამ უმეტეს სახეობებში მასპინძლებმა იმარჯვეს. ეს გასაკვირი როდია. ამერიკელი და ევროპელი მძლეოსნებისთვის იანვარში მაღალ შედეგებზე ფიქრი წარმოუდგენელიცაა, ვინაიდან ამ დროს ისინი მუდამ ისვენებენ ან დარბაზებში იწყებენ გამოსვლებს.

ამის მიუხედავად ზოგიერთ სახეობაში სტუმრებმა წარმატება მოიპოვეს. მაგალითად, ე. მორკროფტმა (დიდი ბრიტანეთი) მოიგო 1500 მეტრზე რბენა — 3.50,3. ხოლო 3000 მეტრის ფინიშთან პირველი იყო დ. კოგლენი (ირლანდია) — 8.04,6.

ქალთა შორის 200 მეტრზე შეჯიბრებაში კ. რობერტსონმა (ავსტრალია) 22,8 წამი აჩვენა. ი. შევინსკა (პოლონეთი) IV ადგილს დასჯერდა. 800 მეტრზე წარმატება ხვდა ამერიკელ დ. დეკერს — 2.05,8, რომელიც სარბიელს სამწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

## ფრენბურთი

**გუშინწინ** ხარკოვსა და ტალინში სტარტი აიღო ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების მე-40 საკავშირო ჩემპიონატმა, იგი 26 აპრილამდე გაგრძელდება. საბჭოთა ფრენბურთელებისთვის ეს ჩემპიონატი უჩვეულოდ საპასუხისმგებლოა: სსრ კავშირის ნაკრებს 20 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე მოუწევს იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა.

პირველმა მატჩებმა პირველი სიურპრიზები შვა. ხარკოვში შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა წააგო ოდესის ჩგს-თან 0:3. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (კამჩატკის პეტრეპავლოვსკი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 3:0, ტალინში შეხვედრები ასე დამთავრდა: „კალევი“ (ტალინი) — ცსკა 0:3, „მოტორი“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 3:2.

## დაძაბული სეზონი

**ბუდაპეშტი.** ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონებს — უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრებს დაძაბული სეზონი მოელით. თებერვალსა (მოსკოვში) და ოქტომბერში (ბუდაპეშტში) ისინი ორ-ორ მატჩს გამართავენ საბჭოთა ნაკრებ გუნდთან, მარტში ოკეანისგაღმა გაემგზავრებიან და აშშ-ის, კანადისა და მექსიკის გუნდებს შეხვდებიან. უნგრელი წყალბურთელები გამოვლენ, აგრეთვე რუმინეთში, იტალიაში, გფრ-სა და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში.

## ციგურები

**ინცელში** „სამი საციგურაოს ტურნეს“ მეორე დღეს საბჭოთა სპრინტერმა ე. კულიკოვმა ახალ წარმატებას მიაღწია. მან კვლავ მოიგო 500 მეტრზე რბენა — 38,58 და იმის მიუხედავად, რომ 1000 მეტრზე უპირატესობა ჰოვარტს (ნიდერლანდები, 1.17,98) დარჩა ორი დისტანციის ჯამში, კულიკოვი ლიდერობს — 158,615.

სამაგიეროდ, დიდ მრავალჭიდში სამი სახეობის მერე პირველობას ისევ ვან ჰელდენი (ნიდერლანდები) ინარჩუნებს. ახლა მას 126,381 ქულა აქვს. 5000 მეტრზე ასპარეზობაში იგი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა (გაიმარჯვა დასავლეთგერმანელმა ჰ. შუმაჰერმა — 7.20,17).

ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა დიტმანმა (გდრ) — 4.42,09. მრავალჭიდში კვლავ პირველ ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი ვ. გოლოვენკინა — 138,018.

# ალი მძლეოსნებს აფინანსებს

**კალიფორნიის** შტატის ქალაქ ლონგ-ბიჩის დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ასპარეზობა დააფინანსა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მ. ალიმ. ტურნირმა საკმაოდ ცნობილი ათლეტები მიიზიდა და შედეგები მაღალი გამოდგა: სამი მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესდა. მათი ავტორები არიან ამერიკელები. ჰ. მაკტირმა 60 მეტრი 6,54 წამში გაირბინა, ჰ. ფრეზერმა მოიგო 500 მეტრზე ასპარეზობა — 1.01,3, ხოლო მ. ტალი ჰოკით 559 სმ-ს გადაევლო.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აშშ-ს, კენიის, დიდი ბრიტანეთის, ტანზანიის, კანადის და სხვათა წარმომადგენლები. აქვე ე. ჰეინსი 808 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო ა. ფეიერბახის ბირთვი 20,38 სმ-ზე დაეცა.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ პირველი ტირაჟებისა, რომელიც მოსკოვში 7 იანვარს მოეწყო.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3980 მანეთია, ოთხისთვის — 90, სამისთვის — 4.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 189, სამისთვის — 6.

მოგებული თანხა გაიცემა 18 იანვრიდან 18 თებერვლის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეორე ტირაჟი.

„სპორტლოტო“: 14 (ფრენბურთი), 18 (რიკაობა), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 34 (ხელბურთი), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 37 (სროლა).

„სპორტლოტო-2“: 7 (ბიატლონი), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (თხილამურები), 26 (მოტობურთი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 39 (სამბო). შეღავათიანი ბურთულა — 5 (ბადმინტონი).

# კოსტიუმები გამოცდაზე

**ვენა.** სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეამოწმოს ოლიმპიური ჩემპიონის, ავსტრიელი ფრანც კლამერის კოსტიუმი, რომლითაც იგი ასპარეზობდა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში. კოსტიუმი გამოიცდება შვეიცარიის სპეციალურ ლაბორატორიაში. იქ გაიგზავნა, აგრეთვე კლამერის თანამემამულის — ცნობილი სამთო-მოთხილამურის ანემარი პრიოლის კოსტიუმიც. ექსპერტთა აზრით, ახალი კოსტიუმები, რომლებიც ეცვათ კლამერსა და პრიოლს, ძალზე შემოტმასნულია ტანზე, ქსოვილი ჰაერს არ ატარებს და სპორტსმენებს ამის შედეგად ერთის მხრივ, უპირატესობა აქვთ მეტოქესთან, მაგრამ მეორეს მხრივ, დაცემის შემთხვევაში შეიძლება ისინი მძიმედ დაშავდნენ.

თუმცა კოსტიუმების შემოწმების შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ ავსტრიის ნაკრების ხელმძღვანელები დაპირდნენ ფედერაციას, რომ უახლოეს შეჯიბრებებში ამ ქვეყნის წარმომადგენლები კვლავ ჩვეულებრივი კოსტიუმებით იასპარეზებენ.

**ჟენევა.** სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გააუქმა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ შეჯიბრებაზე (ვალ დე იზერში, საფრანგეთი) ავსტრიელი სამთო-მოთხილამურის ანემარი მოზერ-პრიოლის ასპარეზობის შედეგი. ამის მიზეზია სპორტსმენის კოსტიუმი, რომელიც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქსოვილი, რისგანაც იყო შეკერილი სამთო-მოთხილამურის კოსტიუმი, არ შეესაბამებოდა „ჰაერის გამტარიანობის“ სტანდარტს. ახლა მინიმალური მაჩვენებელი ასეთია — კვადრატულ მეტრზე 50 ლიტრი, ხოლო მოზერ-პრიოლის კოსტიუმზე იგი მხოლოდ 20 ლიტრს უდრიდა.

სამთო-სათხილამურო სპორტის ავსტრიის ფედერაციას უფლება აქვს შეიტანოს აპელაცია, და როგორც ამ ფედერაციის წარმომადგენელმა უდო ალბლმა განაცხადა, იგი შეტანილი იქნება სასჯელის შემსუბუქების თხოვნით. ჯერჯერობით მოზერ-პრიოლმა დაკარგა II ადგილი, რომელიც მან გიგანტურ სლალომში მოიპოვა.

პრიოლის გარდა დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრება, აგრეთვე, ავსტრიელი სამთო-მოთხილამურის ფრანც კლამერის შედეგსაც. (საკდესი).

# რეკორდების წელი

**ჰანოი.** ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მძლეოსნებმა და მოცურავეებმა 1977 წელს 13 ეროვნული რეკორდი (მათ შორის 10 ოლიმპიურ სახეობაში) დაამყარეს.

გასული წელი შედეგიანი გამოდგა სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებისთვისაც: ვიეტნამელმა სპორტსმენებმა 9 ვერცხლის მედალი მოიპოვეს ჰავანაში მეგობრული არმიების სპარტაკიადაზე. პირველად ჩატარდა ჰაბუკთა საერთოეროვნული ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც გაიმარჯვეს ჰანოის, ჰაიფონისა და ხოშიმინის გუნდებმა. ფიზკულტურა შეტანილია ქვეყნის ყველა სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01914